საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია – კოლეგიის თავმჯდომარე

ბესიკ ქარცივაძე – კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ნონა შენგელია

საჩივრის ავტორის უფლებამონაცვლე - თამარ კანკია

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი – 08.06.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი – 037/21

საჩივარი შემოტანილია – ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძის /სიითი N1622/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა – ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 08 ივნისს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნონა შენგელიამ, მოითხოვა ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, საქმის მასალებისა და საადვოკატო ჰონორარის დაბრუნება. 2021 წლის 28 ივნისს საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით. 2022 წლის 28 ნოემბერს ნონა შენგელიას შვილმა - თამარ კანკიამ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა განცხადება, სადაც მიუთითა ნონა შენგელიას გარდაცვალების ფაქტი, კომისიაში წარმოადგინა სამკვიდრო მოწმობა და მოითხოვა დისციპლინურ

წარმოებაში ჩართვა. თამარ კანკია, როგორც საჩივრის ავტორის უფლებამონაცვლე, დაესწრო 2022 წლის პირველი დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომას, სადაც დაადასტურა წერილობით საჩივარში მითითებული გარემოებები.

1.2 თამარ კანკიას განცხადებით, 2018 წლის 11 ოქტომბერს ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძესთან ნონა შენგელიამ გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძეს კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია ორ საქმეზე. პირველი საქმე ეხებოდა ანაკლიაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთთან (ს/კ 42.30.41.039) დაკავშირებულ ადმინისტრაციულ დავას, ხოლო მეორე საქმე ეხებოდა ანაკლიაში მდებარე უძრავი ქონების, ს/კ 43.30.42.039 და მასზე არსებული N01 შენობა-ნაგებობის უკანონოდ ხელყოფასა და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებას. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ვლადიმერ სანიკიძე გაეცნო ორივე საქმის მასალებს და ნონა შენგელიას მიაწოდა ინფორმაცია, რომ მეორე საქმე წარმოადგენდა სისხლის სამართლის საქმეს.

1.3 თამარ კანკიას განმარტებით, პირველ საქმეზე ადვოკატს ნონა შენგელიამ ნაღდი ანგარიშსწორებით გადასცა ჰონორარი - 1200 აშშ დოლარის ოდენობით, რაც დასტურდება საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერითა და ადვოკატის ხელმოწერით. ნონა შენგელიამ ადვოკატს მეორე საქმეზეც ნაღდი ანგარიშსწორებით გადაუხადა ჰონორარი - 500 აშშ დოლარი, თუმცა, აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მას არ გააჩნია. საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატი არ ითვალისწინებდა ნონა შენგელიას მითითებებს და ორივე საქმე არასათანადოდ აწარმოა. თამარ კანკიას განმარტებით, ადვოკატს ყველა სხვა ხარჯს, რაც დაკავშირებული იყო საქმისწარმოებასთან, სრულად უნაზღაურებდა ნონა შენგელია.

1.4 თამარ კანკიას განცხადებით, ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძის ჩართულობის შემდეგ, ნონა შენგელიამ შეძლო არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვება და 2020 წლის 09 მაისს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ აღირიცხა მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. თამარ კანკიას განმარტებით, ადვოკატმა, პირველ საქმეზე შედგენილ სარჩელში არასწორად მიუთითა მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი, რის გამოც სასამართლომ დაადგინა ხარვეზი და საქმის წარმოება შეფერხდა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ვლადიმერ სანიკიძემ არ აღმოფხვრა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ 2018 წლის 10 დეკემბრის განჩინებით (საქმე N3/217-18) დადგენილი ხარვეზი, რის გამოც საქმისწარმოება აღარ გაგრძელდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებითა და მინდობილობით ადვოკატს ეკისრებოდა ვალდებულება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოების დასრულებამდე გაეწია საადვოკატო მომსახურება კლიენტისათვის.

1.5 თამარ კანკიას განმარტებით, ადვოკატის არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო, ნონა შენგელიამ ვლადიმერ სანიკიძესთან შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება; გაუუქმა მინდობილობა და მოსთხოვა საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი ჰონორარის - 1200 აშშ დოლარის დაბრუნება, ვინაიდან ჰონორარი იყო გამოუმუშავებელი და ადვოკატს მისთვის მინდობილი საქმის წარმოება არ დაუსრულებია. თამარ კანკიას განმარტებით, გაღიზიანებულმა ადვოკატმა მასსა და ნონა შენგელიას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა: უწოდა მათ „ბნელები“; „ეშმაკის მოციქულები“; ეუბნებოდა: „ეს საკუთრება ერთი პენიცილინის ფასად გაქვთ შეძენილი და ახლა გინდათ ეს ხალხი გაატყაოთო“ და დაემუქრა ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებით. თამარ

კანკიას განმარტებით, ის თანახმაა ადვოკატმა დაიტოვოს 200 დოლარი ხოლო გამოუმუშავებელი ჰონორარი - 1000 აშშ დოლარის ოდენობით დაუბრუნოს მას. 2022 წლის პირველი დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე თამარ კანკიამ განმარტა, რომ ვლადიმერ სანიკიძემ ნონა შენგელიას არც საქმის მასალები დაუბრუნა. კერძოდ, სარჩელები და საარქივო დოკუმენტები კვლავ ადვოკატთან ინახებოდა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ვლადიმერ სანიკიძემ 2021 წლის 01 ნოემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ხოლო 2022 წლის პირველ დეკემბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება მის მიმართ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით. ადვოკატის განმარტებით, ნონა შენგელიას სურდა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრირება. ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ადვოკატი არ უარყოფს ფაქტს, რომ საჩივრის ავტორისათვის საადვოკატო მომსახურება ორ საქმეზე უნდა გაეწია. ერთი საქმე ეხებოდა ანაკლიაში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას, ხოლო მეორე საქმე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან ერთად, დასახელებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟს. ადვოკატი სადავოდ არ ხდის კლიენტის მიერ მისთვის საადვოკატო მომსახურების საფასურის 1200 აშშ დოლარისა და 500 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტს. თუმცა, განმარტავს, რომ პირველ საქმეზე, კლიენტი შეუთანხმდა წარმატების ჰონორარზე და საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ადვოკატს უნდა მიეღო მიწის ნაკვეთის ღირებულების 30 პროცენტი.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მხარეებს შორის ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობის ჩამოყალიბებამდე, ნონა შენგელიას ორივე საქმეზე დამოუკიდებლად ჰქონდა გარკვეული მოქმედებები განხორციელებული, თუმცა ვერც ერთ საქმეზე მისთვის სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ადვოკატი განმარტავს, რომ პირველი საქმე ეხებოდა ანაკლიაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (5000 კვ.მ.) საკუთრების უფლების რეგისტრაციას, რაც საჩივრის ავტორმა ვერ მოახერხა, ვინაიდან სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ერთიან ელექტრონულ ბაზაში მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებად სხვა პირები ფიქსირდებოდნენ. ვლადიმერ სანიკიძის განმარტებით, საჯარო რეესტრმა ნონა შენგელიას უარი უთხრა მეორე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზეც. ამასთან, დასახელებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობა N01 განადგურებული იყო, ხოლო მიწის ნაკვეთი აღირიცხებოდა სახელმწიფო ბალანსზე. თუმცა, საჩივრის ავტორს შეეძლო საკუთარი ინტერესების დაცვა 1997 წლის 28 ივლისს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი N22-პ-34 მოწმობის საფუძველზე. ადვოკატის განმარტებით, მან გაასაჩივრა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ უარი. ვლადიმერ სანიკიძე განმარტავს, რომ მის მიერ განხორციელებული ყველა საპროცესო მოქმედება მიმართული იყო კლიენტის ინტერესების დასაცავად. ადვოკატმა სარჩელით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა 04.09.2018 წლის სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. ადვოკატის განმარტებით,

კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე განცხადებებით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. ვლადიმერ სანიკიძის განმარტებით, მის მიერ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებს მოჰყვა კლიენტისათვის სასურველი შედეგი და საჯარო რეესტრში ნონა შენგელია სოფელ ანაკლიაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) ს/კ 43.30.42.039 თანამესაკუთრედ დარეგისტრირდა. საჩივრის ავტორის საკუთრებად აღირიცხა შენობა-ნაგებობა N01-დან 85 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი. ადვოკატის განმარტებით, კლიენტი საქმის შედეგების თაობაზე კმაყოფილებას გამოთქვამდა.

2.3 ადვოკატი უარყოფს კლიენტის მითითებების შეუსრულებლობის ფაქტს და განმარტავს, რომ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე ადმინისტრაციული დავის დაწყება წარმოადგენდა ადვოკატის სტრატეგიას და კლიენტის მითითებების შესაბამისად მაინც აპირებდა პროკურატურისათვის განცხადებით მიმართვას, რაც დასტურდება მის მიერ პროკურატურაში წარსადგენი საჩივრით. ადვოკატი განმარტავს, რომ საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდეგ, ნონა შენგელიას სურდა სოფელ ანაკლიაში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებული N01 შენობა-ნაგებობის დემონტაჟით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ვლადიმერ სანიკიძეს სთხოვა გარკვეული პირებისათვის დაერეკა და ეიძულებინა ისინი მისთვის ფულადი კომპენსაცია გადაეხადათ. ადვოკატის განმარტებით, მან აუხსნა კლიენტს, რომ საქმისწარმოებისას მხოლოდ კანონიერ საშუალებებს გამოიყენებდა, რამაც გამოიწვია ნონა შენგელიას უკმაყოფილება, რის შემდეგაც საჩივრის ავტორი აბრალებდა, რომ არ მოქმედებდა კლიენტის ინტერესების შესაბამისად. კერძოდ, მალავდა, სასამართლოში არ წარადგენდა კლიენტის პოზიციის გასამყარებლად მოპოვებულ მტკიცებულებებს და არ მიმართავდა შესაბამის უწყებებს.

2.4 2022 წლის 01 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ვლადიმერ სანიკიძემ დაადასტურა რომ პირველი საქმის წარმოება შეწყდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, თუმცა მიუხედავად ამისა კლიენტისაგან მიღებული ჰონორარი სრულად აქვს გამომუშავებული. ვლადიმერ სანიკიძის პოზიციით, საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი საფასური იყო ფიქსირებული და არ ექვემდებარებოდა უკან დაბრუნებას, მიუხედავად იმისა, საქმე წინასასამართლო ეტაპზე შეწყდებოდა თუ კლიენტს სამივე ინსტანციის სასამართლოში დასჭირდებოდა წარმომადგენლობა. განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ ვინაიდან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე, კლიენტის ინიციატივით შეწყდა, მას არ ეკისრება გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება. ადვოკატი არ უარყოფს ფაქტს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული საქმე ფაქტობრივად შეწყდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და საქმის წარმოება აღარ გაგრძელებულა. ადვოკატის განმარტებით, ის მზადაა საჩივრის ავტორის მოთხოვნის შემთხვევაში, თამარ კანკიას სრულად დაუბრუნოს საქმის წარმოების მასალები და გადასცეს მის ხელთ არსებული დოკუმენტაციის ასლები.

2.5 ადვოკატი უარყოფს ნონა შენგელიასა და თამარ კანკიასათვის შეურაცხყოფის მიყენებას. ვლადიმერ სანიკიძის განმარტებით, მან გააფრთხილა საჩივრის ავტორი, რომ სკანდალის მოწყობის შემთხვევაში იძულებული გახდებოდა მიემართა პოლიციისათვის.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2021 წლის 23 ივლისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარისა და საქმის მასალების დაბრუნების ფიდუციური ვალდებულებების დარღვევის ნაწილში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი - 5(ბ); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში - „ეთიკის კოდექსი", მუხლი - 8.15). საპროცესო კოლეგიამ, ასევე, იმსჯელა ადვოკატის მიერ განხორციელებული წარმომადგენლიბისა და კლიენტისათვის შესაძლო შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, თუმცა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ დაადგინა ადვოკატის ქმედებაში ნდობის პრინციპისა და არაკვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევა, რის გამოც, ამ ნაწილში არ აღიძრა დევნა ადვოკატის მიმართ.

II სამოტივაციო ნაწილი

4. დავის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1.1 ნონა შენგელიასა და ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძეს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2018 წელს. ადვოკატს ნონა შენგელიას ინტერესები უნდა წარმოედგინა ანაკლიაში მდებარე მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე ადმინისტრაციულ საქმეზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

(ა) მხარეთა ახსნა-განმარტება;

(ბ) 2018 წლის 11 ოქტომბრის ხელშეკრულება, მუხლი 1.

4.1.2 ნონა შენგელიამ ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძეს სრულად გადაუხადა საადვოკატო მომსახურების საფასური - 1200 აშშ დოლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

(ა) მხარეთა ახსნა-განმარტება;

(ბ) 2018 წლის 11 ოქტომბრის ხელშეკრულება.

4.1.3 ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ანაკლიაში მდებარე მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმისწარმოება არ გაგრძელებულა სასამართლოს მიერ 2018 წლის 10 დეკემბრის განჩინებით, საქმეზე N3/217-18 ხარვეზის დადგენის შემდეგ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

(ა) მხარეთა ახსნა-განმარტება;

(ბ) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 10 დეკემბრის განჩინება საქმეზე N3/217-18.

4.1.4 ნონა შენგელიასა და ვლადიმერ სანიკიძეს შორის ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობა დასრულდა 2020 წელს, კლიენტის ინიციატივით, ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე - ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საქმეზე N3/217-18 შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

(ა) მხარეთა ახსნა-განმარტება.

(ბ) 2020 წლის 25 დეკემბრის სანოტარო მოქმედება (მინდობილობის გაუქმება).

4.2 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი სადავო ფაქტები:

4.2.1 განხილვის კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატმა ვლადიმერ სანიკიძემ კლიენტს შეთანხმებული მომსახურება სრულად არ გაუწია და გამოუმუშავებელი ჰონორარი, საქმის მასალებთან ერთად, მომსახურების შეწყვეტიდან გონივრულ ვადაში არ დაუბრუნა კლიენტს.

მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი, ნონა შენგელიასა და ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძეს შორის 2018 წლის 11 ოქტომბერს გაფორმებული „საადვოკატო მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულებით დგინდება, რომ ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძეს ნონა შენგელიასათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ანაკლიაში მდებარე მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ დავაზე. 2022 წლის პირველი დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატმა ვლადიმერ სანიკიძემ დაადასტურა, რომ მართალია ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო, რომ მას ნონა შენგელიასათვის საადვოკატო მომსახურება პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა გაეწია, თუმცა მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ, რომ ჰონორარის - 1200 აშშ დოლარის სანაცვლოდ, ადვოკატი ნონა შენგელიას ინტერესებს სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმოადგენდა. 2018 წლის 11 ოქტომბრის ხელშეკრულების ბოლო გვერდზე მითითებულია, რომ ნონა შენგელიამ ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძეს ნაღდი ანგარიშსწორების გზით სრულად გადასცა ჰონორარი - 1200 აშშ დოლარი. ხელშეკრულება ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. მხარეთა ახსნა-განმარტებითა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 10 დეკემბრის განჩინებით დგინდება, რომ მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დასრულებამდე და სასამართლოს მიერ საქმეზე N3/217-18 შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე. ადვოკატმა ვლადიმერ სანიკიძემ დაადასტურა აღნიშნული ფაქტი, თუმცა, 2022 წლის პირველი დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე აღნიშნა, რომ ხელშეკრულების შესაბამისად და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა კლიენტის ინიციატივით, მას არ ეკისრება კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება. ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მასთან არსებული საქმის მასალები წარმოადგენს მის ინტელექტუალურ საკუთრებას, თუმცა კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში ის დაუბრუნებდა ნონა შენგელიას საქმის მასალებს. ადვოკატის განმარტებით, კლიენტს ნებისმიერ დროს შეეძლო მისულიყო მასთან საქმის მასალების მისაღებად, რაც არც ნონა შენგელიას და არც თამარ

კანკიას არ გაუკეთებიათ. შედეგად, კომისია ადგენს, რომ ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძეს მომჩივანი მხარისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარი და საქმის მასალები არ დაუბრუნებია.

5. შემაჯამებელი დასკვნა

განხილვის კოლეგია ეყრდნობა დისციპლინური საქმის მასალებს, მხარეთა განმარტებებს, საქმეში არსებული მტკიცებულებებს და ადგენს, რომ ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - დარღვეულია კეთილსინდისიერებისა და კლიენტისათვის საქმის მასალებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის უკან დაბრუნების ეთიკური ვალდებულებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი - 5(ა, ბ); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში - „ეთიკის კოდექსი", მუხლი - 8.15).

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძის მიერ დარღვეულია კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება:

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად განახორციელოს პროფესიული ფუნქციები და ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა,ბ)).

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.2 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში „ეთიკის კომისიის“ 10.12.2014 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N037/14).

6.3 ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეზე იმსჯელა გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების გონივრულ ვადაზე და განმარტა, „ადვოკატის მიერ წელიწადნახევრის შემდგომ, ეთიკის კომისიაში საქმის აღძვრის შემდეგ ეტაპზე, ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის შესრულება (სრულად თუ ნაწილობრივ) და ზეპირად გამოხატული თანხმობა ადვოკატის მიერ დანარჩენი თანხის დაბრუნების თაობაზე ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა გონივრულ ვადაში არ დააბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარი. გონივრული ვადა შეიძლება იყოს რამდენიმე სამუშაო დღე, ან თუ არსებობს ობიექტური გარემოება (ადვოკატის შვებულება, ავადმყოფობა და ა.შ.), მაშინ ამ ობიექტური გარემოების არსებობით ამ ვადის გაგრძელება“ (ეთიკის კომისიის 20.09.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №070/18).

6.4 განხილვის კოლეგიის მიერ საქმისწარმოების მასალების შესწავლისას დადგინდა, რომ ადვოკატმა ვლადიმერ სანიკიძემ სრულად არ შეასრულა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. ნონა შენგელიასა და ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძეს შორის 2018 წლის 11 ოქტომბერს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატს კლიენტის ინტერესები უნდა დაეცვა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, ანაკლიაში მდებარე მიწის ნაკვეთზე მიმდინარე ადმინისტრაციულ დავაზე. ადვოკატ-კლიენტს შორის 2018 წლის 11 ოქტომბერს გაფორმებული მინდობილობის მიხედვით, კი ვლადიმერ სანიკიძეს მარწმუნებლისაგან მინიჭებული ჰქონდა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილებაც. მხარეთა შორის უდავოა ის ფაქტი, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა კლიენტის ინიციატივით, ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე, 2020 წლის 25 დეკემბერს, ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძისათვის მინდობილობის გაუქმების გზით. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 42.30.41.039) საკუთრების უფლების მოპოვების საქმე არ იყო დასრულებული და ადვოკატს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად არ ჰქონდა შესრულებული, კერძოდ, უძრავ ქონებაზე საქმისწარმოება შეწყდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძეს ნონა შენგელიასათვის პირველი ინსტანციის სასამართლოში საადვოკატო მომსახურება შეთანხმების ფარგლებში არ გაუწევია. მიუხედავად ამისა, მხარეები ადასტურებენ, რომ ადვოკატს ზემოთ აღნიშნული საქმისწარმოებისათვის შეთანხმებული ჰონორარი სრულად აქვს მიღებული კლიენტისაგან.

6.5 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ის ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში და ვერ დაავალდებულებს ადვოკატს კლიენტისათვის თანხის დაბრუნებას. ეთიკის კომისიას არ აქვს უფლება განსაზღვროს საადვოკატო მომსახურების რომელი მოქმედებისთვის რა თანხა უნდა მიიღოს ადვოკატმა, თუმცა იმ პირობებში, როცა ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძესა და ნონა შენგელიას შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ადვოკატის თითოეული მოქმედების შეფასებას, კერძოდ მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში დეტალურად არ იყო გაწერილი ანაზღაურების გაანგარიშების წესი. საქმის მასალებით დგინდება, რომ

1200 აშშ დოლარის ფარგლებში შეთანხმებული საადვოკატო მომსახურება ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძეს სრულად არ გაუწევია, არ დაუბრუნა კლიენტს მიღებული ფულადი სახსრების ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ კლიენტისაგან სრულად ჰქონდა მიღებული შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, განხილვის კოლეგია იმსჯელებს ადვოკატის მიერ დატოვებული ანაზღაურების ღირებულების და განხორციელებული მომსახურების ექვივალენტობაზე.

6.6 მხარეთა ახსნა-განმარტებებით დადასტურებულია, რომ ადვოკატმა ვლადიმერ სანიკიძემ სრულად მიღებული ანაზღაურების - 1200 აშშ დოლარის სრული ოდენობა დაიტოვა. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ რაიონულ სასამართლოში საქმისწარმოება ადვოკატს არ გაუგრძელებია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ 2019 წლის 02 თებერვალს მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ განჩინების მიღების შემდეგ. მანამდე, ადვოკატი ვლადიმერ სანიკიძე დაესწრო მხოლოდ ერთ სასამართლო პროცესს, 2018 წლის 10 დეკემბერს, სადაც ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მიიღო განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ. განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის მიერ დატოვებული თანხა ვერ ჩაითვლება გამომუშავებულ ჰონორარად, რადგან მომსახურება შეწყდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე, კერძოდ, სასამართლოს მიერ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე და მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი ვლადიმერ სანიკიძე ნონა შენგელიას საადვოკატო მომსახურებას ფორმალურად უწევდა 2018 წლის 11 ოქტომბრიდან, 2020 წლის 25 დეკემბრამდე, ადვოკატს აღნიშნულ საქმეზე სამართლებრივი მოქმედებები არ განუხორციელებია 2019 წლის 02 თებერვლის შემდეგ.

6.7 ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკისა (ეთიკის კომისიის 2019 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე 030/18; ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე 057/17) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პრაქტიკაზე (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Nდს-შ-/5-14; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/17) დაყრდნობით, განხილვის კოლეგია არ იზიარებს ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძის პოზიციას, რომლის მიხედვითაც, ვინაიდან მხარეებს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულებამდე, კლიენტის ინიციატივით დასრულდა, ადვოკატს აღარ ეკისრება გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება და განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, ვისი ინიციატივით დასრულდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა გაწეული მომსახურების პროპორციულად, ხოლო გამოუმუშავებელი ნაწილი, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, დაუბრუნოს კლიენტს. მოცემულ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ საჩივრის ავტორის ნების შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მხარეებს შორის დასრულდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძეს კლიენტისაგან სრულად ჰქონდა მიღებული საადვოკატო მომსახურების საფასური ჰონორარის სახით, ის ვალდებული იყო კლიენტისათვის გონივრულ ვადაში დაებრუნებინა გამოუმუშავებელი ჰონორარი, რაც ადვოკატს 2 წლის განმავლობაში არ გაუკეთებია.

6.8 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტის ფულადი სახსრების კეთილსინდისიერი მართვისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობის

კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.9 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძის მიერ დარღვეულია კლიენტისათვის საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულება:

> კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს დოკუმენტი, ...ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში…(ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).
>
> „მომსახურების შეწყვეტისას, ადვოკატმა მასთან არსებული საქმის მასალები არაგონივრული დაყოვნების გარეშე უნდა დაუბრუნოს კლიენტს, მისი ინტერესებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების, მათ შორის, ახალი ადვოკატის მიერ საქმის გაცნობის ხელშეწყობის მიზნით“ (ეთიკის კომისიის 22.11.2019 წლის N008/19 წერილობითი რეკომენდაცია).

6.10 2022 წლის პირველი დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატმა ვლადიმერ სანიკიძემ აღიარა საქმის მასალების კლიენტისათვის დაუბრუნებლობის ფაქტი და განმარტა, რომ კლიენტისათვის საქმის მასალები დღემდე არ დაუბრუნებია, თუმცა არ არის წინააღმდეგი თამარ კანკიას დაუბრუნოს საქმის მასალები. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ადვოკატმა ვლადიმერ სანიკიძემ იგივე პოზიცია დააფიქსირა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე და განმარტა რომ კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში სრულად დაუბრუნებდა მას საქმის მასალებს, რაც ადვოკატს არ გაუკეთებია. თამარ კანკიამ განხილვის კოლეგიის სხდომაზე დააზუსტა, რომ ვლადიმერ სანიკიძეს აქვს საარქივო დოკუმენტები და სარჩელები, რაც აუცილებელია მისი საქმის წარმოების გასაგრძელებლად. განხილვის კოლეგიის შეფასებით, საადვოკატო მომსახურების შეწყვეტისას, ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძეს მასთან არსებული საქმის მასალები არაგონივრული დაყოვნების გარეშე უნდა დაებრუნებინა კლიენტისათვის, მისი ინტერესებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, რომელიც ადვოკატს დღემდე არ განუხორციელებია. რაც შეეხება სარჩელის კლიენტისათვის გადაცემაზე უარს და ადვოკატის განმარტებას, რომ ეს მისი ინტელექტუალური შრომის შედეგია, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ საქმის მასალები მოიცავს მათ შორის ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც ადვოკატის მიერ არის გამოთხოვილი/მოპოვებული ან თავად ადვოკატის მიერ არის შექმნილი (სარჩელი, შესაგებელი და სხვ.). ეთიკის კომისიის შეფასებით, ამ „ინტელექტუალური შრომის“ შედეგს კლიენტი ყიდულობს ადვოკატისაგან, შესაბამისად, ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, თუ კლიენტს გადახდილი აქვს საადვოკატო მომსახურების საფასური, ამ მომსახურების შედეგად მიღებული/შექმნილი/მოპოვებული მასალები, მათ შორის, თავად ადვოკატის მიერ შედგენილი დოკუმენტები, ეკუთვნის კლიენტს და ის სრულად, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე უნდა გადაეცეს კლიენტს.

6.11 განხილვის კომისია აღარ აფასებს ადვოკატის ქმედებების შესაბამისობას კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულებისა და ნდობის პრინციპთან, რადგან საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ამ საკითხებზე და დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ვერ დაადგინა ადვოკატის ქმედებაში კლიენტის შეურაცხყოფისა და ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური წარმომადგენლობის ფაქტი. შესაბამისად, ეთიკის კომისია დისციპლინური საქმისწაროების განხილვის ეტაპზე,

მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ისეთ ქმედებებზე, რომელზეც უკვე იმსჯელა საპროცესო კოლეგიამ და არ აღძრა დისციპლინური დევნა.

6.12 საქმის მასალების შესწავლის შედეგად, განხილვის კოლეგია სარწმუნო მტკიცების სტანდარტით ადგენს, რომ ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძის მიერ დარღვეულია კლიენტის ფულადი სახსრების კეთილსინდისიერი მართვის, კლიენტისათვის გამოუმუშვებელი ჰონორარისა და საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.13 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

6.14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“.

6.15 დისციპლინური სახდელის ფორმის განსაზღვრისას ეთიკის კომისია ითვალისწინებს, რომ ადვოკატს იგივე ეთიკური ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული აქვს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება. ამასთან, საქმეშია ადვოკატის მიერ ჩადენილი ერთზე მეტი დისციპლინური გადაცდომა და ადვოკატს ჰქონდა დისციპლინური წარმოების პროცესში ქცევის ცვლილების, კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარისა და საქმის მასალების დაბრუნების შესაძლებლობა, რაც ადვოკატმა არ შეასრულა. ადვოკატს არც დისციპლინური წარმოების პროცესში ჰქონია მცდელობა თამარ კანკიასათვის დაებრუნებინა საქმის მასალები და გამოუმუშავებელი ჰონორარი. ამასთან, ადვოკატი მიიჩნევს, რომ მას აღნიშნული ვალდებულება არ ეკისრება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადვოკატს მართებულად არ აქვს აღქმული მისი როლი და პროფესიული პასუხისმგებლობა კლიენტის, საზოგადოების, მართლმსაჯულების სისტემისა და ადვოკატის პროფესიის მიმართ. ეთიკის კომისიის შეფასებით, ამ პირობებში, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი და დადგენილი დარღვევების შინაარსიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიის პრაქტიკის გათვალსიწინებით, ადვოკატის მიმართ პროპორციული პასუხისმგებლობის ღონისძიება იქნება გაფრთხილება.

6.16 კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34.1(ა) მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35– ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №037/21 დადგინდეს ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

2. ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძის მიმართ /სიითი №1622/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

3. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ზესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/